დიუსელდორფის მატჩის წინ

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 8 მაისი.

"დინამო" (თბილისი) – "დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 4:0 (3:0).

"დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფვიანი (ჟვანია), შენგელია.

"დნეპრი": კრაკოვსკი, მოტუზი, ტროშკინი, ნიკიფორენკო, ლისენკო, დამინი, ცერნიხი (ლიტოვჩენკო), ვასიუტიჩი, შევჩუკი, ალექსეევი, სამოილენკო (ბაბენკო).

მსაჯი: შკლოვსკი (მოსკოვი).

43.000 მაყურებელი.

მართალია, საკავშირო ჩემპიონატის ყოველ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს, მათი მაჩვენებლებით ჯამდება საბოლოო შედეგები, მაგრამ გუშინდელი ჩვენი მეტოქე - "დნეპრი" უპირველეს ყოვლისა მაინც მიგვაჩნდა იმ სპარინგ-პარტნიორად, რომელთანაც თბილისის დინამოელებს უნდა ეცადათ თავიანთი ძალა მომავალი უაღრესად პასუხსაგები მატჩის წინ: ყველას ერთთავად თავში გვიტრიალებს აზრი - რა მოხდება 13 მაისს დიუსელდორფში, როგორ ვემზადებით იენის "კარლ ცაისთან" სათამაშოდ?

უნდა ითქვას, რომ დნეპროპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა ვერ გაგვიწიეს სათანადო წინააღმდეგობა. დინამოელებმა მთელი მატჩი დიდი უპირატესობით ჩაატარეს.

15 წუთიც არ იყო გასული თამაშის დაწყებიდან, როცა სულაქველიძე სწრაფად ჩაერთო შეტევაში და გახსნა კიდეც ანგარიში. 22-ე წუთზე მასპინძელთა მორიგი მასირებული იერიშის შემდეგ, დარასელიამ მეორედ აიღო კრაკოვსკის კარი.

ტაიმის დასასრულს სტუმრების კარში მესამე ბურთი გაიტანა ყიფვიანმა. ეს იყო მისი მე-100 გოლი და, ამრიგად, დავით ყიფვიანი გ. ფედოტოვის სახელობის "ასიანთა კლუბის" წევრი გახდა (სხვათა შორის, ბურთი, რომელიც ყიფვიანმა მოათავსა მეტოქის კარში, მას სამსაჯო ოთხში გადაეცა სამახსოვროდ).

შესვენების შემდეგ, 54-ე წუთზე, "დნეპრის" საჯარიმო მოედანზე წააქციეს შენგელია და ყიფვიანმა 11-მეტრიანი დარტყმით თავის 100 გოლს კიდევ ერთი მიუმატა. ამის შემდეგ თამაშმა დაკარგა სპორტული ბრძოლის ხასიათი და თბილისის "დინამომ" იოლად შეინარჩუნა დიდი ანგარიშით გამარჯვება.

ბ. ქორქია.

"ლელო", 9 მაისი 1981 წ.